ოქმი:**ო08. 3726237001**

თარიღი:**25/08/2026**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2026 წელი, 24 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

12:30 – 13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, პ. კიღურაძე, ზ. მორჩილაძე, მ. ცქვიტიშვილი, თ. ქინქლაძე, ლ. კვაჭაძე, თ. ბადალაშვილი, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: ხათუნა სურგულაძე

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გაცნო დღის წესრიგის საკითხი. ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა ხ. სურგულაძემ, რომელმაც კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის წარმოდგენილი დადგენილების კორექტირებული პროექტი და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის წესრიგში წარმოდგენილი საკითხი წარედგინოს საკრებულოს სხდომას განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი